

**ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა**

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სოციალური დაცვა
-----------------

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	070404
----------------------------------	--------

ქვეპროგრამის დასახელება:

სმენადაქვეითებულ მოქალაქეთა სმენის აპარატებით უზრუნველყოფა
--

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
---

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2014 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	135 000
სულ ბიუჯეტი:	135 000

ქვეპროგრამის მიზანი:

სმენადაქვეითებულ პირთა უზრუნველყოფა სმენის აპარატებით
---

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ბენეფიციარებს წარმოადგენენ III-IV ხარისხის სმენაჩლუნგობის მქონე მოქალაქეების (18 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის ნებისმიერი ხარისხის). ქვეპროგრამის ფარგლებში ციფრული სმენის აპარატებით უზრუნველყოფა განხორციელდება სოციალური ვაუჩერის მეშვეობით. გადაწყვეტილებას მოქალაქის დაფინანსების შესახებ ღებულობს შესაბამისი კომისია, რომელიც იქმნება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით.

ქვეპროგრამის ფარგლებში სმენის აპარატების გაცემისას უპირატესობა ენიჭებათ 18 წლამდე ასაკის ბავშვებსა და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე მოქალაქეებს.

ვაუჩერის გაცემის საფუძველს წარმოადგენს:

- ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა №IV-100/ა აუდიოლოგიური გამოკვლევის შედეგით, სადაც მითითებული უნდა იყოს სმენის აპარატის აუცილებლობა;
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია;

- ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან (არსებობის შემთხვევაში);
- შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დამადასტურებელი ცნობის ასლი (არსებობის შემთხვევაში).

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურებით ისარგებლებენ საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ვაუჩერის გაცემის პერიოდისათვის უწყვეტად რეგისტრირებულნი არიან აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. სამ. ფასი	სულ (ლარი)
სმენადაქვეითებულ პირებზე სმენის აპარატების გაცემა, მორგება, გამოყენებასთან დაკავშირებული სარეკომენდაციო-საკონსულტაციო და ტექნიკური მომსახურების გაწევა, საგარანტიო მოსახურება.	300	450	135 000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			135 000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
შესყიდვის განხორციელება	X			
მოქალაქეთა განცხადებების მიღება	X	X	X	X
წარმოდგენილი განცხადებების განხილვა კომისიაზე		X	X	X
ვაუჩერების გაცემა		X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

ბენეფიციართა სმენის აპარატებზე მოთხოვნის დაკმაყოფილება

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
სმენადაქვეითებულ მოქალაქეთა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება, საზოგადოებაში მათი ინტეგრაციის ამაღლება	ბენეფიციარების რაოდენობა	300	სოციალური დაცვის დეპარტამენტი	წელიწადში ერთხელ	სოციალური დაცვის დეპარტამენტი	სამინისტროში შემოსული მოქალაქეთა განცხადებების შესწავლა

